5
1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვდავების „თანამონაწილენი“

უნტერი პრიშიბეევი (ბელიკოვს და სხვებს)—ხომ ხედავთ რა ხიკეთე ვუყავით ანტონ პავლოვიჩს, უკვდავი სახელი მივანიჭეთ, ჩვენზე რომ არ ეწერა, უკვდავებას ხაიდან მოიპოვებდა?!

ნ ი ა ნ გ ი

№ 13. თბილისი. ივლისი 1954 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXI. ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკბილო პატრიოტიზმის შესახებ

„ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომკვლევი კომისიის“ მეთაური მაკარტი დღითიდღე აოცებს თავის თანამემამულეებს შეშლილებთან მეტოქეობის ახალ-ახალი მეთოდებით.

მარტო „კუდიანებზე“ ნადირობის ამბავი რად ღირს! მაკარტი ამტკიცებს, ჭეშმარიტ პატრიოტებთან ერთად, ამერიკაში ცხოვრობენ კუდიანები, რომელთაც ადამიანის გარეგნობა აქვთ, მაგრამ სინამდვილეში გადაცმულ ეშმაკებს წარმოადგენენო. განსწავლულ სენატორს ისიც კი ეჩვენება, რომ თეთრი სახლის სვეტებზე, ფანჯრების თაღებზე თუ კუთხეებში დადგმულ ქანდაკებებზე უპასპორტო ქაჯები სხედან და კომუ-

ნისტების სასარგებლო შპიონაჟის ქსელს აბამენ.

მაგრამ აბა, ამით ხომ ვერ გააკვირვებს „ჭკუათამყოფელ“ ჭეშმარიტ ამერიკელებს, რომელთაც კარგად ახსოვთ ფანჯრიდან გადმომხტარი უფრო მაღალ-პატენტოვანი შეშლილი ფორესტოლი?

და, აი, რაკი ამ სენსაციასაც ლილა გაუხუნდა, მაკარტის „ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომკვლევ კომისიას“ ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

ეს არის ჭეშმარიტ ამერიკელთა კბილების პრობლემა.

ამერიკაში ხომ კბილის ექიმებიც ცხოვრობენ, ხომ შეიძლება მათ შორის ერევნენ კომუნისტები? მაშასადამე, მათ ხომ შეუძლიათ, ვთქვათ, ფრონტზე ჯარისკაცებს ჩაუსხან კბილები, რომლებშიც შესაძლოა სააგიტაციო მასალები, ან მტრისთვის საჭირო სტრატეგიული ცნობები მოათავსონ?

ჰოდა, აი, დაიღუპა ამერიკა: მტერი ტყვედ ჩაიგდებს ასეთ ჯარისკაცებს, ამოაძრობს ჩადგმულ კბილებს და... სამხედრო საიდუმლოებაც გაცემულია!

ამის გამო, მაკარტის კომისია ახლა დანტისტებს დაერია და მათ „შემოწმებას“ ისეთი სახე მისცა, რომ ყველა წესიერ ამერიკელს სირცხვილის სიწითლე აღარ ელევა სახეზე.

„მაშასადამე, რა არის პატრიოტიზმი?“—კითხულობენ პენტაგონში.

— პატრიოტიზმი? ეს ის არის, რომ ყველა ჭეშმარიტმა ამერიკელმა საკუთარი კბილები დაიძროს და ხელოვნური ჩანები ჩაიდგას.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ შეშლილთა „პატრიოტიზმი“ თავიდანვე ასეთ უკბილო ოპერაციაში იყო გატარებული.

სიბრიყვის ფილოსოფია

ძველად, როცა ადამიანები სხვადასხვა სტიქიას, ან პლანეტებს სცემდნენ თაყვანს, არავის უკვირდა, რადგან ასეთი რელიგიური სიბრიყვე ჩამორჩენილობის შედეგად მიაჩნდათ.

მაგრამ როგორ შეხედავენ შთამომავალნი, როცა წაიკითხავენ „მეოცე საუკუნეში ამერიკაში სიბრიყვესა და გაუნათლებლობას სცემდნენ თაყვანსო?“

ასეთი ბრიყვული წინასწარმეტყველების პიონერად უთუოდ „ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომკვლევი კომისიის“ თავმჯდომარე სენატორი მაკარტი იქნება აღიარებული.

აი, რას მოგვითხრობს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“.

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა რობერტ შერვუდმა განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა აზროვნება და განათლება ადამიანის დამამცირებელ მანკიერებად იქნა აღიარებული; ფილოსოფოსი, პოეტი, მხატვარი, მეცნიერი თუ პედაგოგი, ესე იგი ყველა ის, ვისაც კი უწოდებენ მანკიერ



სიტყვა „ინტელიგენტს“, ავტომატურად იწვევს ანტიამერიკული მოღვაწეობის ეჭვს. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა თურმე სჯობს ვიყოთ ბრიყვები“.

დიახაც, სენატორ მაკარტის შეუძლია უკვდავების ნაღდი იმედი იქონიოს სიბრიყვის ფილოსოფიისათვის.

დოლარებად გადადნობილი რელიგია

როგორ შეიძლება რელიგიის დოლარებად გადადნობა?

ამ საკითხზე დიდი ხანია თავს იმტვრევდნენ ამერიკელი ომის გამჩაღებლები.

და, აი, „ღმერთმა“ მათ უკვე მოუვლინა გამოსავალი: აღმოჩნდა ნიუ-იორკის არქიეპისკოპოსი ვინმე სპელმანი, რომელიც მსხვილი მონოპოლიების დახმარებით, ამას წინათ, კარდინალად ეკურთხა და უკვე პაპის ტახტის პრეტენდენტად მოაქვს თავი.

ეს ტიტული მას შესაძლებლობას აძლევს რომის პაპის პიუს XII-ის სიკვდილის შემდეგ დაიმკვიდროს ვატიკანის ტახტი და მთელი კათოლიკური რელი-

გიის სადავეები ამერიკელ ომის გამჩაღებლებს გადასცეს ხელში.

აღსანიშნავი ისაა, რომ არქიეპისკოპოსი სპელმანი მსხვილი მრეწველი და სპეკულანტია, მას აქვს ვისკისა და კოკა-კოლას წარმოება, მონაწილეობს ამერიკის ნავთის მრეწველობის ტრესტებში, იმდენად მჭიდრო კავშირი აქვს მორგანების სახლთან, რომ მან უკვე მოახერხა კათოლიკური ეკლესიების კაპიტალის მოთავსება მორგანის ბანკებში.

მაგრამ სპელმანის პაპის ტახტზე აყვანის მთავარი მიზანი მაინც ის არის, რომ მან ვატიკანი კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებაროს ამერიკის დაზვერვას და რელიგია გადააქციოს ჯაშუშობისა და დოლარების „გამოდნობის“ საშუალებად.

ოღონდაც, უოლ-სტრიტი ამ გაიძვერაზე უფრო შესაფერ კანდიდატს ვერ მონახავდა „წმინდანის“ ტახტზე დასამკვიდრებლად.

ჩვენთვის ისევ მვესაუბრება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„წესები დამწყები მწერლისათვის“

● ყველა ახალდაბადებული ყრმა გულდასმით განბანეთ და როცა მცირეხანს დაასვენებთ, რომ პირველი შთაბეჭდილებისაგან გონს მოვიდეს, მაგრა გალახეთ სიტყვებით:

„არ სწერო! არ სწერო! მწერალი არ გამოხვიდე!“

უკეთუ, მიუხედავად ასეთი წინასწარზომისა, ყრმა მაინც გამოიჩენს მწერლობისადმი მიდრეკილებას, გმართებთ მიმართოთ ალერსს. ხოლო თუ ალერსმაც ვერ უშველა, მაშინ ხელი ჩაიქნიეთ და ჩაიწერეთ: „დალუპულია“. მწერლობის სენი უკურნებელია.

● ...იყავი მართებული: მოპარულს საკუთრად ნუ მიიჩნევ! ერთსა და იმავეს ერთდროულად ნუ დაბეჭდავ ორ გამოცემაში, თავის თავს კუროჩკინად ნუ გაასაღებ და კუროჩკინს—შენად ნუ მოგვაჩვენებ, ხოლო უცხოურს — ორიგინალურს ნუ უწოდებ...

● ფანტაზიის გაქანების დროს, შესძელი ხელის შეკავება. ნუ მისცემ მას ნებას, რომ სტრიქონების რაოდენობას გამოეკიდოს. რაც უფრო მოკლედ და იშვიათად დასწერ—მით უფრო მეტად და ხშირად დაიბეჭდები. საერთოდ, მოკლედ წერა საქმეს არ წაახდენს.

● ჰონორარი მიიღე დაბეჭდვისთანავე, ერიდე ავანსებს, რადგან აკანსი—ეს შენი მომავლის შეჭმაა.

ჯვარი

სტუმრებით სავსე დარბაზში შედის პოეტი.

— რას იტყვით? როგორ არის თქვენი მშვენიერი პოემის საქმე?—მიმართავს დიასახლისი.—დაგიბეჭდეს? ჰონორარი მიიღეთ?

— ნულარ მკითხავთ... ჯვარი მივიღე.

— თქვენ ჯვარი მიიღეთ? თქვენ, პოეტმა, ჯვარი მიიღეთ? განა პოეტები ჯვრებს ღებულობენ?

— სულით და გულით გილოცავთ!—ხელს ართმევს მას მასპინძელი,—სტანისლავია თუ ანა? ძლიერ მოხარული ვარ... მოხარული ვარ დიდად... სტანისლავია?

— არა, წითელი ჯვარია...

— მაშ, ალბათ, თქვენ ჰონორარი შესწირეთ წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ!

— არაფერიც არ შემიწირავს!

— ძალიან მოგიხდებათ ორდენი... აბა, გვაჩვენეთ!

პოეტი ხელს იყოფს ჯიბეში და იღებს ხელთნაწერს.

— აი ის...

სტუმრები დასცქერიან ხელთნაწერს და ხედავენ ორმხრივ გადასმულ წითელ ჯვარს... მაგრამ ისეთ ჯვარს, რომელსაც ვერავითარ სერთუკზე ვერავინ მიიკერებს.

ფლაპარი

(ძლვნად გაზეთებში თანამშრომლობით მოტრაბახე აულაუულახ)

რომელიღაც ბუზი ოთახებში დაფრინავდა და ტრაბახობდა, რომ იგი გაზეთებში თანამშრომლობს.

— მე მწერალი ბუზი ვარ, მე პუბლიცისტი ვარ, გზა მომეცით, ბრიყვებო!

ამის გამგონე ყველა კოლო, ხოჭოები და სხვა მწერები მისდამი პატივისცემით გაიმსჭვალნენ, ბევრმა ის თავისთან სადილად მიიპატიჟა და სესხად ფულიც კი მისცა, ხოლო ობობას თავისი თავის გამხელისაც კი შეეშინდა, კუთხეში მიიყუჟა და გადასწყვიტა არ დანახვებოდა ბუზს...

— მერე და რომელ გაზეთში თანამშრომლობთ?—შეეკითხა ერთი კოლო, რომელიც უფრო გამბედავი იყო.

— თითქმის ყველა გაზეთში! არის ისეთი გაზეთებიც, რომელთაც ჩემი პირადი თანამშრომლობით ელფერს, კილოს და თვით შიმართულებასაც კი ვაძლევ!.. უჩემოდ ბევრი გაზეთი თავის ხასიათსაც მოკლებული იქნებოდა!

— მაინც რას სწერთ გაზეთებში?

— მე იქ განსაკუთრებულ განყოფილებას განვაგებ!

— რომელ განყოფილებას?

— აი, რომელს!

და პუბლიცისტმა ბუზმა უჩვენა უთვალავი წერტილები, რომლითაც დაწინწკლული იყო ბუზებნასხდომი გაზეთის ფურცელი.

ეპის წიგნიდან

● ეფარისევლებიან მას, ვისიც ეშინიათ.

● **ბებერი ძალლის ჩანაწერებიდან:** „ადამიანები არ ჰამენ ნარჩენებსა და ძვლებს, რომელთაც მზარეული ქალი ყრის. სულელები!“

● ახლისა და მხატვრულის ქადაგება მიამიტებსა და გულწრფელებს ახასიათებთ. თქვენ კი, რუტინერებო, ხელთ აგიღიათ ხელოვნებაზე ძალა-უფლება და კანონიერად მხოლოდ იმას თვლით, რასაც თვითონ აკეთებთ, დანარჩენს კი ახშობთ.

● თუ ვინმე მიეტმასნება საქმეს, მისთვის უცხოს, მაგალითად, ხელოვნებას, იგი აუცილებლად მოხელე ხდება. რამდენი მოხელეა ხელოვნების, თეატრისა და მხატვრობის გარშემო! მას, ვისთვისაც უცხოა ცხოვრება, ვისაც მისი უნარი არა აქვს, აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ მოხელე გახდეს.

● მოხელე სცემს შვილს იმის გამო, რომ მან ყველა საგანში მიიღო 5, მეტი უნდა მიგეღოო. შემდეგ, როცა აუხსნეს, რომ ის ცდება და 5—ეს საუკეთესო ნიშანია, მან მაინც სცემა შვილს—თავის თავზე გაბრაზებულმა.

● გაიზარდა არა ნერვულ დაავადებათა და ნერვულ ავადმყოფთა რიცხვი, არამედ რიცხვი ექიმებისა, რომელთაც უნარი აქვთ შენიშნონ ეს დაავადებანი.

● პროფესორის თვალსაზრისით, მთავარია არა შექსპირი, არამედ შენიშვნები შექსპირზე.

● თავმდაბალი კაცის იუბილეს იხდიდნენ. ისარგებლეს შემთხვევით, რომ თავი გამოეჩინათ, ერთმანეთი შეექოთ. და მხოლოდ სადილის დასასრულს მოაგონდათ, რომ იუბილარი არ იყო მოწვეული, დავიწყებოდათ.

● ცოლ-ქმარს უყვარდათ სტუმრები, რადგანაც სტუმრების გარეშე ისინი სულ ჩხუბობდნენ.

● ცოლი შეირთო, ოთახი მორთო, იყიდა საწერი მაგიდა, გააწყო, მაგრამ საწერი არაფერი ჰქონდა.

● მწერალი გვოზდიკოვი ფიქრობს, რომ ის ძლიერ სახელგანთქმულია, რომ მას ყველა იცნობს. ჩამოვიდა ს-ში, ხვდება ოფიცერს, რომელიც დიდხანს ართმევს ხელს, აღტაცებით შესცქერის სახეში. გვოზდიკოვიც მხურვალედ ართმევს ხელს... ბოლოს ოფიცერი ეკითხება: „როგორაა თქვენი ორკესტრი? თქვენ ხომ კაპელმაისტერი ხართ?“

ეროვნული ეკონომიკა და ნახვის ნაცვლით

საქ. სსრ ავტოტრანსპორტისა და გზატაქციცილების მინისტრის მოადგილეს ამხ. ნიკოლოზ ფელიქსოვს

ამხანაგო მინისტრის მოადგილევ!

მე, ნიანგი, ამას წინათ, თქვენს ავტოსატრანსპორტო მანქანაში მოვხვდი, ავტობუსში. მოვხვდი-მეთქი, კი არ მოვხვდი, მოვყევი, ორი მოხუცი ადამიანის შუა ჩავიჭედე და ისეთი „ღრო გავატარე", თქვენს მოღალეებს რომ გაეხარებათ. საყვედურს არ გეტყოდით, რომ მარტო მე ვყოფილიყავი ასეთ მგზომარეობაში. ვინ ვის ზურგზე ჯდა, ვინ ვის მუხლებზე, შემოწმება შეუძლებელი იყო, რადგან რომელიმე მგზავრისათვის რომ პასპორტი მოგეთხოვათ, სივინჩოვის გამო ჯიბეში ხელს ვერ ჩაიყოფდა.

ამ გაჭირვებაში მყოფს ტუჩზე სიხარულის ღიმილი არ მომშორებია. გამახსენდა ანდაზა: „ფუული მიეც შოფერსაო, მოთთავსებს სოფელსაო" და აღტაცებული ვიყავი იმით, რომ მგგონა თქვენგანი რწმუნებული კანტორები, ამდენი მგზავრის გადაყვანის შემდეგ, გეგმას ერთიორად შეასრულებენენ.

მაგრამ ამ სასიამოვნო ფიქრებით, თურმე, ამაოდ ყავშვრი!

თქვენს ავტომძღოლებს ისეთი უცნაური ოინებაზობა შეუსწავლიათ, რომ მე კი არა, თქვენც გატყუიენენ. მგზავრთა საკმაოდ დიდი ნაწილი უბიღეოოდ მოყავთ, ფუული ხელზე არომყვენ და თქვენი კანტორების მაგიერ გეგმას ისინი ასრულებენენ.

შესაძლებელია ჩემი ნათქვამი ზოგად მსჯელობად მიიღოთ, ფაქტებს დაგისახელებთ:

ავიღოთ, თუნდაც, ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორა.

ამას წინათ, ქუთაისიდან გასული შვიდ ავტობუსში, ნორმით გათვალისწინებულ 126 მგზავრის ნაცვლად 131 მგზავრი იჯდა, მათ შორის 28 მგზავრი უბიღეთო იყო. ავტობუსი ГН 99-40, რომელის მძღოლიც შ. ხაბურზანია გახდეთ, ორი კაცით იყო გადატვირთული. შიგ 19 მგზავრის ნაცვლად 21 იჯდა და ოცდაერთიდან ათს ბიღეთი არ ჰქონდა.

ქუთაისის ავტოტრანსის კანტორის კონტროლიორები სამუშაოზე მხოლოდ მაშინ გაღიან, როცა ავტობუსები ჩაავლის. ზედმეტი „კონტროლის" შედეგად, თურმე, ავტომძღოლებსა და კონტროლიორებს ერთმანეთი ისე „შეძულებიათ", რომ ურთიერთთან შეხვედრას ერიდებიან.

ახლა ქ. მახარაძის ავტოთაღლიღთებზე მოგახსენებთ:

ამას წინათ მახარაძეში შემოწმებულ 13 ავტობუსში 45 უბიღეთო მგზავრი აღმოჩნდა. მათ შორის—ავტომძღოლი გ. ბიღინიოძეს 6 უბიღეთო მგზავრი ჰყავდა, მამაღაძეს—5, მ. ეასაძეს—5, ღარჩიას—3 და ასე შემდეგ... შემდეგ-მეთქი, შემდეგაც ასეთივე ამბები ხდება ხსენებულ ავტოტრანსკანტორაში.

ასევე მოხერხებულად მუშაობენ ტაქსის ავტომძღოლები. ქაღაქგარეთ გასეირასან, 4 მგზავრის ნაცვლად, ზოგჯერ ხუთს სვამენ და მრიცხეველი ნახევარ გზაზე მაინც გამოთიშული აქვთ. მათ პასუხს არავინ სთხოვს, რადგან გეგმა აქვთ მიღებული, ამ გეგმას ასრულებენ და ავტომძღოლებისათვის გეგმის გადაჭარბება, აღმათ, სამარცხვინო საქმედ ითვლება. ამ საქმის ოსტატი ქ. მახარაძეში მარტო ავტომძღოლი ღ. ბერიძე არ არის.

ავტომძღოლები ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ საკუთარი ჯიბის გაკვსების გეგმას. ასრულებენ გეგმას ღა, აღმათ, თქვენს კონტროლიორებსაც არ ტოვებენ განაწყენებულს! ამგვარად, ხელი ხელს ბანს, ორივე ფუღს აკეთებს.

თქვენ კი ადგიღზე გეგმის შეუსრულებლობის მაზეზებს ეძებთ. ისინი ამ მიზეზად მგზავრების სიმცირეს, ან ზოგჯერ ზამთრის ყინვას ასახელებენ. ნიშნავენ ახალ-ახალ რეისებს და შემდეგ ისევ ხსნიან, რადგან დანიშნულებას „ვერ ასრულებს" მგზავრთა „სიმცირის" გამო.

რა საჭიროა ყოველივე ეს? ამდენ ამაო შრომას ის არ ჯობია, რომ თქვენმა ფართო შტატმა, კონტროლიორთა არმიამ მეტი „გაბეღულება" გამოიჩინოს ავტომძღოლთა წყენინების საქმეში? იქნებ ეს შეუძლებელია? არავითარ შემთხვევაში! კონტროლიორმა რომ ავტომძღოლს ანყენინოს, კონტროლიორის კონტროლიორმა მეტი საკონტროლო სფეხიზლე უნდა გამოიჩინოს კონტროლიორის მიმართ. ეს არის და ეს, მეტი არაფერი!

გისურვებთ საფინანსო გეგმის ყველგან და ნამდვილად გადაჭარბებით შესრულებას.

ნიანგი

ეროვი ღამის კოშეღია
(ნამდვილი ამბავი)

ნახ. გ. ფირცხალავამა

დარაჯს დიდი ხანია შენიშნული ჰქონდა, რომ ღამით, ვიღაც უხილავს უნებართვოდ ხაშენი მასალა გაჰქონდა წარმოებიდან. დაუდარაჯდა და, აი, ბოლოს...

დამნაშავე, როგორც იტყვიან, თავები ფეხით წაიყვანს პასუხის საგებად.



ოღროჩოღრო გზით, ხმაურით მიჰქროდა ძმიმე ავტო, დარაჯისა და შოფრის ლანძღვა და დაკიდარახა მოგორის გუგუნს ალეტეტეოდა...



და, აი, შოფერი ახლაც ალალ-მარალი კაცი აღმოჩნდა... დარაჯს მხოლოდ ერთი რამ გამოჩრჩა მხედველობიდან: ავტომანქანა ავტომატურად იცლებოდა...

ბედნიერი აპარატი!

ზუდდიეის ავტოტრანსპორტის კანტორამ კვირაობით გაიცალა კოტეა ავტობუსი № 39-78; მანქანამ სოფ. ორუღლში მგზავრები გადაიყვანა, ხოლო იქიდან შოფერმა ნათესავს ოთხი ტონარა სიმინდი ჩამოუტანა... უბიღეთოდ, უფასოდ... ორწუთიან რბილ სავარძელზე 7-ფუთიანი ტომარა.

ამას, ბუნებრივად სიმინდის პატრონის „მალარიანი" მოჰყვა, მალარიანმა — შოფერის კაი გუნება, ხოლო ამ კაი გუნებამ ასკუპა ეს კომფორტაბელური მანქანა და ავტობაკეის ნაცვლად ინყურკალდლკომბინატის ხანძარსაწინააღმეგო აუზში ჩაყიარავა.

— ღმერთმა უშველოს, ეს პირდაპირ ბედნიერი ავარიაა, კიდევ კარგი, რომ შიგ სიმინდის ტომრები არ ეწყო, — განაცხადა ჩვენი ავტოტრანსის კანტორის გამგე კოპალეიშვილმა.

მართლაც და ბედნიერებაა, რომ ესიმინდდდ გადაიჩეხა მანქანა, თორემ ტომრებს ხომ მგზავრებივით ცეცხვა არ შეეძლოთ?

ამიტომ კარგს იხამს ჩვენი ავტოტრანსის გამგეობა, თუ გაადასტურებს შოფერებს, რომ „სასაღტრო ტვირთხიდვის დროს" ნელი სვლის წესები დაიცვან.

ნ. ოდლიშელი

უმარშრუტო

— სალ ბიდის ავტობუსი?

— რას კითხულობ, თუ ადგილს იშოვი, ჩაუჯექი და სალიაც ბინდა გაგატარებს.

— კი მაგრამ ბოელ სტალინინს ხომ არ შემოვიდეალ?

— რა დიდი ჭალაკი ეს არის? სამეურაც შემოიცალ, ვიდრე შენს პუნქტამდ მიხვალ!

მართლაც ბიიარელი ეზავრობა შემოალეა სტალინრის ავტოსატრანსპორტო კანტორას: თითქმის წყლიწადია, რაც ახალი ავტობუსებს პარკი მოაწყო და მანქანების მიმოსვლის მარშრუტი და გასაჩერებელი ადგილები კი ჯერაც არ არის დაწესებული.

ბ. ხეთაგი

საღ ვუჩივლოთ ბედენაშვილს?

კოლეეურნე ილო ანტახაშვილმა კარდანახის სადგურის ბაღის ღობესთან სიზდარი გამოაბა და სამორიგეგოსაკენ გაეშურა. სადგურის უფროსმა ა. ბეგენაშვილმა ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღო და კოლმეურნეს თავ-პირი ამტვრია. მან მეორე დღეს თავისი მეშტების ძალა აღრეფდე ტრაქტორისტ საჩეხელაშვილზედაც გამოსცადა, იგი ეკერ სარჩით წაკეცა, შემდეგ კი ამდგარს რამდენიმე მეშტი უთავაზა და „ნოყდაუნში" ჩაადო. შემდეგ მან ორივე ველაბელს ნანუცადა:

— მე ბედენაშვილი ვარ და სადაც გინდათ, იქ მირეკეთეთ!

ჩვენ კარ ვიცით სად ეურივლეს ველაბულებმა ბედენაშვილს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მან ხულეგნინაში ხელი გაიწაფა.

ერთ დღეს სადგურის პარტორგანიზაციის მდივანმა ამბ. ჩერკეზიშვილმა პარტიული კოტა მოიწვია და კომფისლტი კ. მაკავარიანი (ყოფილი სადგურის უფროსია) კრებაზე დაიბარა. როცა ა. ბეგენაშვილმა კ. მაკავარიანს თვალი მოკრა, მოხასხასდდ შეუტია:

— ახლაეე დატოვე სადგურის ტერიტორია, თუ სიცოცხლე რამდენ ჯერიანსო.

არც დარიგებამ, არც ბანმარტებამ არ გასჭრა. ბეგენაშვილი „ბასაკრობად" იწვდა მაკავარიანზე. ამის გამო, პარტიული კოტა ჩაიშალა და ამბ. ჩერკეზიშვილი იძულებული გახდა მაკავარიანი ბეურეკაანის პარტორგანიზაციაში წაეყვანა იმ საკითხის გასარკვევად, რაც სადგურის პარტიულ კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

ეს იმ წუთებში მოხდა, როცა ბეგენაშვილი სადგურიდან მორიგ მატარებელს ოტუმრიდა და თან „შეთავსებით" მაკავარიანსა და ჩერკეზიშვილს უზამსად აგინებდა.

დაიარა თუ არა მატარებელი, ბეგენაშვილმა მორიგის ფოთელი კუდი მიწაზე დაანარცხა, მორიგიკობა მიატოვა, რიგკომში მიმავალ მაკავარიან-ჩერკეზიშვილს გამოუდგა და გაუკვირა შეურაცხყოფა მიაყენა.

მგონი, ეცოე შერარა ბეგენაშვილს.

ალბათ ამით თუ აიხსნება მისი შემდგომი გამოტოტომა:

ამას წინათ, სადგურის უფროსმა ბეგენაშვილმა „თავი დაიმერა", კარდანახის მეურნეობის ლენინი დატვირთულ ვაგონს ლენინგრადშეე გაჰყვა, კაი ბოგგეი ნახა, მ დღე შეეხლებასაც გადაცილდა და არავის წინაშე პასუხი არ უგია.

იგი კარდანახში დღესაც ყეინჩოისაკენ გაფრენილი დადის და გაიძახის:

— მე ბეგენაშვილი ვარ, სადაც გინდათ იქ მირეკეთეთ!

სად ვუჩივლოთ ბეგენაშვილს?

ლ. ძნელაძე

ძრაკინოზ — მასწავლებლის ძროხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში ხშირად ლაპარაკობენ მასწავლებლის დაახლოებაზე მოსწავლის ოჯახთან. არა მარტო ლაპარაკობენ, ჩვენი მასწავლებლები კარგადაც იცნობენ მოსწავლის ოჯახს, მოსწავლის სამეცადინო პირობებს, მშობლებიც ხშირად აკითხავენ მასწავლებელს და აღსაზრდელს ყოველგვარი პირობა ექმნება სწავლისათვის.

მაგრამ თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ციცინო გოცირიძე რომ მოსწავლე კლარა ჭელიძის ოჯახს დაუახლოვდა, კაცი ადვილად ვერ იტყვის.

ამ დაახლოებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ერთმა ჭრელმა ძროხამ, რომელიც, ღმერთმა აპატიოს, ხსენებული საშუალო სკოლის მასწავლებელს ც. გოცირიძეს ეკუთვნოდა და დიდად მოწონების გამო მოსწავლის მშობელმა გ. ჭელიძემ იყიდა.

ციცინო გოცირიძე მათემატიკის მასწავლებელია, ანგარიში კარგად იცის და ძროხას კარგი ფასი დაადო. გ. ჭელიძეს ძალიან მოსწონდა ჭრელი ძროხა და ფასზე უარი ვერა თქვა. მხოლოდ ერთმა გარემოებამ კინაღამ ოდნავ შეუშალა ხელი ძროხის მყიდველს: ფული არ ეყო და კარგა ხანს ხვეწნა დასჭირდა—„ზოგი მემართოსო“.

ვალი ვალია, რას იზამდა გ. ჭელიძე, უნდა გადაეხადა, მაგრამ საქმე საქმეზე ვერ მოუვიდა, ფული ვერ იშოვნა და მასწავლებელი განაწყენებული დატოვა.

და რაკი ციცინო მათემატიკის მასწავლებელია და ანგარიში კარგად იცის, იანგარიშა, იანგარიშა და ვალის გადახდა თავის მეათე კლასის მოსწავლეს, ძროხის მყიდველის შვილს დააკისრა.

— ან ფული, ან ორიანი, რომელი გირჩევნია?

— ფულს ვიშოვნით და მოგართმევთ, ორიანს რას მერჩით!

— როცა იშოვნით, ხუთებზე მერე ვილაპარაკოთ...

ჭრელი ძროხის ყოფილმა პატრონმა მასწავლებელმა ც. გოცირიძემ ალგებრაში, ტრიგონომეტრიასა და გეომეტრიაში ორიანები ჩაუმწკრივა ძროხის ახლანდელ პატრონს, მოსწავლე ჭელიძეს.

სკოლაში მისი ამხანაგები ხუმრობდნენ:

— ეს ჩვენი კლარა მათემატიკას ისე კარგად დაეუფლა ხუთიანი რომ არ ეყო, ექვსი დაუწერა მასწავლებელმა!..

მასწავლებელს კი ეკითხებოდნენ:

— მესამე მეოთხედში თუ კარგი ნიშნები ეწერა ამ საცოდავ კლარას, ახლა რა დაემართა ნეტა?

— ჩემი ბრალია, ჩემი, ძროხა არ უნდა მიმეყიდა,—ამბობდა ციცინო-მასწავლებელი,—იმ ჩემეულა ძროხის მოვლას გადაყვა და საგანი ვეღარ მოამზადა.

— რა ზომები მიიღეთ ჩამორჩენილი მოსწავლის გამოსასწორებლად?—ამასაც ეკითხებოდნენ.

— რა ვქნა, გეთაყვა, — უპასუხებდა ციცინო-მასწავლებელი,—ის ჩემეული ძროხაც მეცოდება, ასეთი კარგი მომვლელი რომ მოვაცილო და სწავლაზე მოვაცდინო, ვინღა უპატრონებსო.

ნამდვილად კი ძაღლის თავი ვალად დარჩენილ იმ ძროხის საფასურის ნაწილშია გახვეული. ის გარემოება თეთრწყაროშიც კარგად იციან, მაგრამ ციცინო-მასწავლებლის ბუხჰალტერიაში არ ერევიან.

და ახლა, თეთრიწყაროს განათლების განყოფილება კვლავ თუ არაფერს იტყვის, იმ ჭრელ ძროხას მაინც ჰკითხონ მასწავლებლის მორალური სახის შესახებ.

ბ. იაშვილი

ამხანაგო ნიანგო!

თბილისში, ლენინის რაიონში, არსებობს ყველასაგან მივიწყებული მაღაროს ქუჩა. სიმართლე უნდა ითქვას, იგი მთლიანად მივიწყებულიც არაა. 1940 წ. ქუჩაზე დაადგეს ქვაფენილი, ველოდით რომ ტროტუარსაც მოაასფალტებდნენ, კანალიზაციას გაიყვანდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. გავიდა ცამეტი წელი. 1953 წელს, ივლისში, ვიღაც კეთილი ნების ადამიანს კვლავ გაახსენდა მაღაროს ქუჩის არსებობა და ქუჩა მოსაასფალტებლად მოამზადა. მაგრამ მომზადებული მომზადებულად დარჩა. ქუჩა სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ვაჟთა მე-17 და ქალთა 45-ე სკოლებს. ქალთა 45-ე სკოლის ჩრდილოეთის მხრის კედლის სინესტისაგან დაცვის მიზნით აშენებულია მეორე კედელი, სკოლის ძირითადი კედლიდან მეტრნახევრის დაშორებით, რომელიც დაფარული იყო რკინა-ბეტონის სახურავით. სახურავი უკვე ერთი წელია რაც ჩაინგრა და ახლა სკოლის გვერდით მოსიარულე უმცროს-უფროსები ჯამბაზობას სწავლობენ.

ამხანაგო ნიანგო, გთხოვთ შეახსენოთ ლენინის რაიონის კომუნალურ განყოფილებასა და მის მუშაკებს, რომლებმაც თავის დროზე ქუჩის კეთილმოწყობისათვის კოლექტიური განცხადებაც კი მოითხოვეს, (რომელიც, რასაკვირველია, მოთხოვნილებისამებრ დაიწერა, მაგრამ არავინ იცის რა ბედი ეწია მას კომუნალურ განყოფილებაში), რომ მოგვაქციონ, თუ სათანადო არა, მინიმალური ყურადღება მაინც და საჯამბაზო კურსები ჩვენგან ცოტა მოშორებით გახსნან.

ნ. კიკნაძე

ვინ ხედავს და ვინ ვერა!

ჩვენმა ჩიტკორესპონდენტმა თავისი თვალით ნახა დუშეთის რაისაავადმყოფოს სასწრაფო დახმარების მანქანა რომ ჩააბარეს.

განა მარტო მანქანა? შტატით სამი შოფერი დაუნიშნეს და უთხრეს:

— მოემსახურეთ რაიონს, დღედაღამე მზად იყავით, ავადმყოფს არაფერი გაუჭირვოთო.

ეს რომ რუბენ წიკლაურმა გაიგო, არსენასავით ულვაშებში ჩაიცინა, სჩანს, იგი მეორე დილამდე იცინოდა, რადგან მეორე დილით „სასწრაფო დახმარების“ მანქანა კოლმეურნეობის სკებით გაევსო და ჟინვალისაკენ მიაქროლებდა.

— საით, რუბენ?

— ფუტკრებს ჰაერის გამოცვლა უნდათ, სოფლად ყვავილი გაჩნდა და...

— კი მაგრამ ავადმყოფები რომ არიან სასწრაფოდ გადმოსაყვანი?

რუბენამ კვლავ ულვაშებში ჩაიცინა:

— მერე რაო? ე ფუტკრების გადატანა ფული ღირს, ჯერ ჯანსაღი კაცი რა არის, ავადმყოფი რა იყოს, ფულს მომცემს თუ?

მართალი თქვა წიკლაურმა, ავადმყოფების სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანაში ფულს აო იძლევიან. აი, შეშისა, ჭირნახულისა, თუ „სახალტურო“ მგზავრების გადაყვან-გადატანა კი ხეირიანი საქმეა.

ზიდავს წიკლაური და ამას თავისი თვალით ხედავს ჩიტკორესპონტენტი.

— რაც შეეხება საავადმყოფოს დირექციას, ის კი ვერ ხედავს.

ა. როგნედაშვილი

ქაკაურიძის ავგოსკოლა

ქაკო ქაკაურიძემ თქვა: ანანურელებს ავტომძღოლობა უნდა ვასწავლოო. შეკრიბა შოფრობის მსურველები, გადაასდევინა ფული და დაუწყო:

— ეს არის ძრავი, ეს არის საჭე, ისწავლეთ გეთაყვათო!

ისწავლიდნენ ანანურელები შოფრობას თუ ვერა?

წარმოიდგინეთ, ვერ ისწავლეს!

ან კი როგორ ისწავლიდნენ, როცა ქაკაურიძემ ფული ჯიბეში იკრა და თავი ქალაქში ჰკრა. ერთხელ კიდევ გამოჩნდა, მსმენელებს კიდევ გადაასდევინა ფული, კიდევ რაღაცა „განუმარტა“ და ისიც განუცხადა: „ეგზამენები“ უნდა ჩააბაროთო!

გავიდა ხანი, „კურსები“ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარ გავიგეთ. გამოცდა, რასაკვირველია, არავის ჩაუბარებია, მძღოლობა არავის მიუღია არათუ ანანურში, არამედ დუშეთშიც კი, სადაც ქაკაურიძეს სწორედ ასეთივე „სკოლა“ მოუწყვია და ჩვენი ავტოტრანსპორტის მძღოლთა „ლეგიონით“ გამდიდრება მოუსწრია.

ახლა ისღაა საჭირო აუხსნან ქაკაურიძეს:

„ეს არის კოდექსის ესა და ეს მუხლი, ეს არის შენს მიერ დამსახურებული სასჯელი, მიიღე გეთაყვა!“

მ. დაშნაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მისადგომებთან

სახ. ავტოინსპექციამ მექრთამეობის გამო სამუშაოდან მოხსნა ინსპექტორი ზახარკინი.

ავტოინსპექტორის კვერთხი

გზააბნეული ვაგონები

თქვენ არ იცით და ადვილი შესაძლებელია, რომ თვალსა და ხელს შუა მთელი ვაგონი დაიკარგოს. დიახ, დიახ, რკინიგზის მთელი ვაგონი და ისიც ორი ერთად...

ეს ამბავი ახლახან მოხდა.

ერთი მათგანი (№ 939731) ჭიათურაში უნდა ჩასულიყო და მეორე (№ 142305) — თბილისში.

მართალია, იმ ვაგონებში მგზავრები არ ისხდნენ, იგი საბარგო იყო და ბარგს კი, მოგეხსენებათ, ენა არა აქვს თავისი გულისწყრომა პროტესტით გამოხატოს, მაგრამ ყველა ბარგს თავისი გულშემატკივარი პატრონი ჰყავს.

და აი, როდესაც ამ ვაგონებმა დაიგვიანეს, მისმა მომლოდინეებმა განგაში ასტეხეს

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ჭიათურის წყალთა მეურნეობის მუშაკებს ჰქონდათ. მათი ბარგით დატვირთული ვაგონი თავის დროზე წასულიყო, შორაპანშიც თავის დროზე 2 აპრილს ჩასულიყო და იმის შემდეგ კი მისი ყოველგვარი კვალი იკარგებოდა. ბევრი ძებნისა და მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ დაკარგული ვაგონი მხოლოდ 11 ივნისს იპოვნეს... შორაპნის ერთ-ერთ ჩიხში.

ხოლო თბილისისათვის განკუთვნილმა ვაგონმა ისე გაიარა თბილისი და ისე შეუმჩნეველად ამოჰყო თავი ერევანში, რომ არავის მოგონებია მისი არსებობა. იგი ერევნიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა და თვენახევრის დაგვიანებით ჩაბარდა პატრონს.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე თუ ასე თვეობით იკარგება მთელი ვაგონები, წარმოიდგინეთ, რა დაემართება ცალკეულ ბარგს, რომელიც ზოგჯერ ლვთის ანაბარად მიტოვებული უგზო-უკვლოდ დაჭრის დიდი რკინიგზის მაგისტრალებზე...

გ. ალავიძე

ერთი სახლმმართველი და მისი ჯაბილი ბინადარი

ვბეჭდავთ უცვლელად მიწერ-მოწერას, რომელიც გაიმართა ამას წინათ ერთ სახლმმართველსა და მის ბინადარს შორის. აი ისიც:

„მოქ. ეთერაიას.

მცხ. ტელმანის 3 ბ-ში.

სახლმმართველობა № 31 წინადადებას გაძლევთ მოაშოროთ ეზოდან ქათმები, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებით დაჯარიმებული 100 მანეთით.

სახლმმართველი: შ. დობორჯგინიძე“.

ამ მიმართვის მეორე გვერდზე „მივიღე გაფრთხილება“-ს ქვემოთ მოქ. ზ. ეთერაია ასე სწერს:

„შერმადინ! (სახელია სახლმმართველ დობორჯგინიძისა) ყოველთვის უდანაშაულოდ რატომ გინდა მიკბინო, შენ გიკბინა შავმა ჭირმა. რა დაგიშავე შენ ან სხვას. იცოდეთ, ჯობია ქვეწარმავლობას დაანებოთ თავი“.

წარმოგვიდგენია, ოფიციალურად მათ შორის რომ ასეთი მიწერ-მოწერაა გაჩაღებული, რა „ტკბილი“ სიტყვები დაიხარჯება მათი პირისპირ შეხვედრის დროს!

გ. სიმონიშვილი

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 13, ხელმოწ. დასაბ. 17/VII-1954 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. „ხარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42

შეკვ. №1915 უე 06140 ტირ. 20.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

212 54

ავტოტრანსის მესვეურთა საყურადღებოდ

ხხვა გზა არა აქვთ და ხხვა ხაშუალება, რომ თბილისის ხიცხეს გაექცნენ... მზეც კი იწვის მათი ხაცოდაობით...

ნახ. გ. ფირცხალავავა